საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№2718 2019 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამოუყოს არა უმეტეს 27 000 000 (ოცდაშვიდი მილიონი) ლარისა, მათ შორის:

ა) ზოგიერთი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია-მშენებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით – არა უმეტეს 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარისა;

ბ) წყალმომარაგების სისტემებთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით – არა უმეტეს 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარისა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**